# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულოს

## განკარგულება №241

2022 წლის 09 დეკემბერი

ქ. გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის მიერ 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის მიერ 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

**გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის ანგარიში კომისიის მიერ 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ საქმიანობის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია თავის მუშაობას წარმართავს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 28 -ე, ,,ბ“ ქვეპუნქტისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის სხდომის N 1 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული რეგლამენტის მიხედვით.

კომისიის შემადგენლობაში გაერთიანებულია საკრებულოს 17 წევრი. ყოველ კვარტალურად კომისია ადგენს სამუშაო გეგმებს, რომელსაც ამტკიცებს კომისია.

ასევე კომისიას მჭიდრო კონტაქტი აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან. ვისმენთ კომისიის სხდომაზე მათ წარმოდგენილ ინფორმაციებს, როგორიცაა ,,პირუტყვის ინფერქციურად საშიში დაავადებების წინაღმდეგ გაწეული ბრძოლის ღონისძიებებს,“,,მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის“ მდგომარეობის შესახებ და ა.შ.

კომისიის წევრებს რეგულარული შეხვედრები აქვთ მოსახლეობასთან, ეხმარებიან სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მათი პრობლემების გადაჭრის საქმეში.

ვიხილავთ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილ პროექტებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 12 სხდმა, განხილულია 103 საკითხი, საკითხების ირგვლივ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. საანგარიშო პერიოდში მერიას უკან დაუბრუნდა არასაკმარისად მომზადებული 10 პროექტი. უარყოფითად შეფასდა 4 პროექტი.

კომისია აგრძელებს მუშაობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 28 -ე, ,,ბ“ ქვეპუნქტისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის სხდომის N 1 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული რეგლამენტის მიხედვით.